# ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის ძირითადი იდეების შესახებ

კ. ფხაკაძე, მ. ივანიშვილი

ნაშრომში განიხილება ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის სასაყრდენე იდეები, საკვლევი მეთოდები და პირველი შედეგები.

ხაზი ესმება იმას, რომ საზოგადოდ ბუნებრივი ენობრივი სისტემების პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა იძლევა ენობრივ სისტემებზე დღეს არსებული ხედვებისაგან არა პინციპულად განსხვავებულ, მაგრამ ახალ არსებითად დაზუსტებულ ხედვას. კერძოდ გარკვეული ძალით საბუთდება ქართული ენის ზოგადი ტიპობრივი თანმთხვევა ფრეგესეულ მათემატიკურ ენასთან. ამასთან, გამოითქმება თვალსაზრისი, რომ მათემატიკურ ენასთან ზოგადი ტიპობრივი თანმთხვევა დამახასიათებელი უნდა იყოს არა მარტო ქართული ენისათვის.